თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №4

თბილისი, 22 სექტემბერი, 2025 წ.

სხდომა დაიწყო: 11:07 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- პაატა სალია – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- ლანა მორგოშია – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ლაშა მაღრაძე – სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ავთანდილ კოჭლამაზიშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნინო ენუქიძე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე;
- ბათუ გურჯიძე – ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ქეთევან გოგელაშვილი – კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი კულტურის მინისტრის მოადგილის ნაცვლად;

- თამარ მემანიშვილი – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილის ნაცვლად;
- გოგა ტაბატაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- ირინა ტატიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, წარმოდგენილი სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ნაცვლად;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, წარმოდგენილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილის ნაცვლად;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ანა აფრიდონიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) იურისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

1. ბექა ზეგარდელი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი;

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციები:

- დანიელ დავითაშვილი – ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე;
- გრიგოლ გაგნიძე – ა(ა)იპ „ადვოკატთა და იურისტთა საერთაშორისო ობსერვატორია“;
- დავით ლილუაშვილი – ა(ა)იპ „დემოკრატიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- მაია ხარაძე – ა(ა)იპ „მასმედიისა და უფლებების დაცვის ცენტრი“;
- შორენა მირცხულავა – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობა“;

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- დავით მათიკაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;
- გიორგი ლილუაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“;
- შოთა მაქაცარია – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველო“
- გიორგი ედიშერაშვილი – მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „გახარია საქართველოსთვის“;

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა პაატა სალიამ, სხდომის გახსნის შემდგომ კომისიის წევრებსა და მოწვეულ სტუმრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა;
2. მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული და კომისიის სამდივნოში შემოსული საკითხების განხილვა;
3. კითხვა-პასუხი.

ბატონმა პაატა სალიამ სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ მიმდინარეობს სხდომის აუდიოჩაწერა სხდომის ოქმის სათანადო დონეზე მომზადების მიზნით. ამის შემდეგ, დღის წესრიგის შესაბამისად, კომისიის თავმჯდომარე გადავიდა მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული საკითხების განხილვაზე.

მედიამონიტორინგის საფუძველზე იდენტიფიცირებული პირველი საკითხი შეეხებოდა ონლაინ გაზეთ „ბათუმელებში" გამოქვეყნებულ სტატიას, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი მალხაზ ჭკადუა ამბობს, რომ მას კონკრეტული კლასის დატოვება მოსთხოვეს, რადგან ამ კლასში პარტია „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნის შვილი სწავლობს. ამ საკითხზე სასაუბროდ ბატონმა პაატამ სიტყვა გადასცა ქალბატონ თამარ მემანიშვილს (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარმომადგენელი). ქალბატონი თამარის განცხადებით, რამდენადაც ინფორმაციაში საუბარია კერძო სკოლაზე, შესაბამისად, როგორც განათლების სამინისტრო, ისე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, მოკლებულია შესაძლებლობას, შეისწავლოს საკითხი; სამინისტროს კომპეტენცია კერძო სკოლებთან მიმართებით შემოისაზღვრება მხოლოდ ავტორიზაციის ნაწილით და ამ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტის გადამოწმების შესაძლებლობა სამინისტროს არ აქვს; ფაქტის გადამოწმება შეიძლებოდა ერთადერთ, მხოლოდ საგანმანათლებლო კომპონენტის ნაწილში, სკოლის დირექცია თუ მიმართავდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, და მხოლოდ ამ ნაწილში შესაძლებელი იქნებოდა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ჩართვა.

ბატონმა პაატამ განაცხადა, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის გადამოწმება, სამწუხაროდ, შეუძლებელია, და თუ ასეთ გარემოებას ნამდვილად ჰქონდა ადგილი, მან ინფორმაციაში ნახსენებ ბატონ მალხაზ ჭკადუას მოუწოდა, არ შემოიფარგლოს მხოლოდ გაზეთისთვის მიმართვით და, შესაბამისად, მიმართოს სამართლებრივ ზომებს, რათა შემდგომ გაირკვეს, თუ რა გარემოებებს ჰქონდა ადგილი.

შემდეგი საკითხი შეეხებოდა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია – ა(ა)იპ „ასოციაცია თავისუფალი თაობის" წარმომადგენლის, ქალბატონი შორენა მირცხულავას, მიერ გამოგზავნილ მედიაში გავრცელებულ მასალას, რომელიც ასახავს „ქართული ოცნების" მერობის კანდიდატის

საარჩევნო შტაბთან მომხდარი ინციდენტის დროს ნიღბიანი პირების ყოფნას. ამ საკითხზე სასაუბროდ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ბატონ ალექსანდრე დარახველიძეს (შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე). ბატონმა ალექსანდრემ განაცხადა, რომ 2025 წლის 10-11 სექტემბერს საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილის $ა^2$ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნორმების დარღვევისთვის, რაც გულისხმობს შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეების მიერ სახის ნიღბით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით დაფარვას, ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს მესამე სამმართველოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება 58 პირის მიმართ; გროვდება შესაბამისი მტკიცებულებები და კონკრეტული ფაქტების დადასტურების შემთხვევაში მათ მიმართ გამოყენებული იქნება შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელი, რაც გულისხმობს ჯარიმას 2 000 ლარის ოდენობით.

შემდგომ ბატონი პაატა გადავიდა პარტია „საქართველოს" თავმჯდომარის, ბატონი გიორგი ლილუაშვილის, მიერ წინა სხდომაზე გახმიანებულ საკითხზე, რომელზეც განცხადება, ასევე, კომისიის სამდივნოს ელექტრონულადაც მიაწოდა. განცხადებაში საუბარია, რომ პარტია „საქართველო" ითხოვს უკვე ჩატარებული სხდომების აუდიო და ვიდეოჩანაწერების გადაცემას, ხოლო მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე, მომდევნო სხდომების პირდაპირი ეთერის საშუალებით გაშუქებას. კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ, რაც შეეხება სხდომების პირდაპირი ეთერით გაშუქებას, ამას უნდა არეგულირებდეს ნორმატიული აქტი; დღეს მოქმედი რედაქციით კომისიის დებულება არ ითვალისწინებს მისი მიმდინარეობის პირდაპირ ეთერში გაშუქებას, თუმცა, ოქმების სათანადოდ შედგენის მიზნით კეთდება ყველა სხდომის აუდიოჩანაწერი და, შესაბამისად, ოქმები უკვე განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე. გასაგებია, რომ მაღალია ინტერესი წინასაარჩევნო გარემოს მიმართ, მაგრამ კომისია მოქმედებს კანონის ფარგლებში და ის, რაზეც საუბარი მიმდინარეობს სხდომებზე, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, ამიტომ რაიმე დამატებითი მოქმედებების განხორციელების აუცილებლობა ამ ეტაპზე არ დგას.

რაც შეეხება ბატონი გიორგი ლილუაშვილის მიერ წამოჭრილ მეორე საკითხს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შეტანილი საჩივრის განუხილველად დატოვების, პოლიტიკური პარტიების დოკუმენტების შესწავლისა და მათი რეგისტრაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ, ბატონმა პაატამ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა სცდება კომისიის

უფლებამოსილების ფარგლებს; გარდა ამისა, კომისიის უფლებამოსილების ფარგლებში პარტიების ყრილობებისა და დოკუმენტების საჯარო რეესტრში ასახვასთან დაკავშირებით, 2025 წლის 2 სექტემბერს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომაზე უკვე განიმარტა, რომ რაიმე დარღვევას, რაზეც ბატონი გიორგი ლილუაშვილი მიუთითებდა, ადგილი არ ჰქონია; კერძოდ, საუბარი შეეხებოდა იმას, რომ ზოგიერთი პარტიის ყრილობის ოქმი არ იყო წარდგენილი სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ და ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ უნდა განიმარტოს, რომ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს“ წარედგინება მხოლოდ და მხოლოდ ის ოქმები და გადაწყვეტილებები, რომელთა საფუძველზეც უნდა განხორციელდეს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებები; ამგვარი მონაცემების არარსებობის გამო ყრილობის ოქმები, რომლებშიც არ ხდებოდა რაიმე სავალდებულო მონაცემის შეცვლა, საჯარო რეესტრში წარმოდგენილი არ არის და ეს არ წარმოადგენს დარღვევას.

ამის შემდეგ სიტყვა გადაეცა ბატონ დანიელ დავითაშვილს (ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური კადრების მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის“ თავმჯდომარე). ბატონი დანიელი შეეხო წინა სხდომაზე პარტია „საქართველოს“ წარმომადგენლის მიერ წამოჭრილ საკითხს, რომ ბატონ კახა კალაძეს არ ეკუთვნის სახელმწიფო დაცვა. მისი თქმით, რამდენადაც ბატონი კახა არის მოქმედი მერი, კანონმდებლობის შესაბამისად, მას ეკუთვნის დაცვა; ამასთან, აუცილებელია, უწყებათაშორის კომისიაზე დამსწრე პირი ერკვეოდეს შესაბამის კანონმდებლობაში და ესა თუ ის საკითხი სწორად დააყენოს კომისიაზე.

სიტყვა, ასევე, გადაეცა ბატონ გიორგი ედიშერაშვილს (პარტიის „გახარია – საქართველოსთვის“ წარმომადგენელი). ბატონი გიორგი შეეხო მათი პარტიის ერთ-ერთი წარმომადგენლისა და მაჟორიტარობის კანდიდატის, დავით მარგოშვილის, შემთხვევას, რომელზეც, მისი თქმით, ხორციელდებოდა ზეწოლა და შემდეგ უკვე პოლიტიკური ნიშნით გაათავისუფლეს სამსახურიდან, კერძოდ, ახმეტის მუნიციპალიტეტის გარე განათების სამსახურიდან. ბატონი გიორგის თქმით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოში შემოიტანს განცხადებასაც. მან ისაუბრა მათი პარტიის სხვა წევრებთან დაკავშირებითაც, რომელთაც, მისი თქმით, დავით მარგოშვილის მსგავსი ზეწოლა გამოიარეს და ამის გამო მოხსნეს კანდიდატურები, თუმცა, ხმამაღლა ამ საკითხებზე საუბარს ვერ ბედავენ.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კომისია შეისწავლის ბატონი გიორგის მიერ შემოტანილ განცხადებას, თუმცა, რაც შეეხება სხვა კანდიდატებთან დაკავშირებით სხდომაზე გაკეთებულ ზოგად განცხადებას, კომისია ამ შემთხვევაში ვერაფერს მოიმოქმედებს, თუ არ იქნება წარმოდგენილი კონკრეტული ფაქტები და შესაბამისი პირები არ ისაუბრებენ მათი შემთხვევების შესახებ; თუ მართლაც ჰქონდა ზეწოლის ფაქტებს ადგილი, მაშინ ზემოაღნიშნულმა პირებმა უნდა მიმართონ შესაბამის სამართალდამცავ უწყებებს. ბატონი პაატას თქმით, ზეწოლასა და სხვა ფაქტებთან დაკავშირებული მსგავსი განცხადებები ხშირად კეთდება წინასაარჩევნო პერიოდში, თუმცა, კონკრეტული ხელშესახები პირები არავის უნახავს; კანდიდატურის მოხსნაც შეიძლება სხვადასხვა ფაქტორით იყოს განპირობებული და არ არის აუცილებელი, ეს ყოველთვის ზეწოლის შედეგი იყოს.

ბატონმა გიორგი შარაბიძემ (ცენტრალური საარჩევნო კომისია, თავმჯდომარის მოადგილე) ზემოთ განხილულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ჯერ კიდევ აგვისტოში მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, რეგისტრაციის მომენტისთვის პოლიტიკურ პარტიებს სიები წარდგენილად ჩაეთვლებოდათ, თუ მასში იქნებოდა კანონით დადგენილი რაოდენობა კანდიდატებისა. კანდიდატის უარის შემთხვევაში, რაოდენობის შემცირების გამო პოლიტიკური პარტიებს რეგისტრაცია არ უწყდებოდათ. ეს იყო პრევენციული ზომა, რომლის შესახებაც ინფორმაცია ოფიციალურად გამოქვეყნდა და მიეწოდა ყველა ჩართულ მხარეს. სპეკულაციებისთვის სივრცე რომ არ დარჩენილიყო, პოლიტიკური პარტიების სასარგებლოდ ამ საკითხზე ცენტრალური საარჩევნო კომისიისგან ნაფიქრი და გადაწყვეტილი იყო. სწორედ ამიტომ არის ამ რაოდენობის რეგისტრირებული პოლიტიკური პარტია. სხვა დანარჩენ შემთხვევებში, თუ უფლება დარღვეულია, არსებობს მასზე რეაგირების საშუალებაც.

ვინაიდან სხდომას დაგვიანებით შემოუერთდა ბატონი გიორგი ლილუაშვილი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“), მის მიერ გამოგზავნილ განცხადებებთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარე სხდომის დასაწყისში განხილულ საკითხებს კვლავ მიუბრუნდა და განმეორებით გააცნო კომისიას. ბატონი გიორგი ლილუაშვილი (მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება – პარტია „საქართველო“) დამატებით შეეხო წინა სხდომაზე უკვე განხილულ თემებს, რომელთაც, ასევე, განმეორებით გაეცა პასუხი. რაც შეეხება უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოსთვის კომისიის სხდომამდე ერთი დღით ადრე, არასამუშაო დღეს, კვირას,

ბატონი გიორგი ლილუაშვილის გამოგზავნილ განცხადებებს, სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ განცხადებების შინაარსის გაცნობას გონივრული ვადა სჭირდება, სამდივნო დეტალურად გაეცნობა თითოეულს და კომისიის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს შეიტანს მომდევნო სხდომის დღის წესრიგში.

გიორგი ედიშერაშვილმა (პოლიტიკური პარტია „გახარია საქართველოსთვის“) გამოთქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ, რადგან კომისიის დებულებით სხდომების პირდაპირ ეთერში გადაცემის შესაძლებლობა არ არის გათვალისწინებული, საჯაროობის უზრუნველსაყოფად კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანით შეიძლება პრობლემის გადაჭრა.

კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, კომისიის არსებობის განმავლობაში არასდროს წამოჭრილა ვიდეოტრანსლაციის საკითხი. რაც შეეხება საჯაროობის უზრუნველყოფას, კომისიის შეხვედრები ისედაც საჯაროა და გამოქვეყნებული ოქმი ყველასთვის ხელმისაწვდომია. შესაბამისად, ცვლილების შეტანის საჭიროება ამ ეტაპზე არ დგას და საჯაროობა უზრუნველყოფილია.

ამის შემდეგ ბატონმა პაატა სალიამ მიმართა დამსწრე წევრებს, კომისიის მანდატის ფარგლებში ჰქონდათ თუ არა შეკითხვები. შეხვედრის ბოლოს კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ კომისიის სხდომაზე ნახსენები ყველა საკითხი შეიტანება ოქმში, ბოლოს კი, კომისიის წევრებთან შეათანხმა მომდევნო კომისიის სხდომის თარიღი და საათი.

სხდომა დასრულდა 12:00 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: პაატა სალია

კომისიის მდივანი: ლანა მორგოშია